

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის
უფლებამოსილებანი კანქისყრის დღეს
(8 ოქტომბერი)

07:00-08:00 საათი

- საარჩევნო უბნის გახნისას კომისიის თავმჯდომარისგან მიიღეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და სადემონსტრაციო ოქმები.

- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოაკარით.

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის პირველ და მეორე გვერდებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მე-10 და მომდევნო გვერდებზედაც შეიტანეთ საარჩევნო უბნის გახნისას კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების (კომისიის წევრების, დამკვირვებლების, წარმომადგენლების) სახელები და გვარები და სთხოვეთ მათ, კენჭისყრის შენობაში ყოფნა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით დაადასტურონ (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.2.ა*).

- კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქული პაკეტის გახნის შემდეგ, აღნიშნული ბეჭდის ნომერი მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-9 გვერდზე.

- კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გასანაწილებლად ჩატარებული წილისყრის შედეგები შეიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.2.ვ*).

- საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დასაკვირვებლად ჩატარებული წილისყრით გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაცემები შეიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

- გამოაცხადეთ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩეველთა რაოდენობა და მონაცემები მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6 და მე-7 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.9*).

- გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა და მონაცემები მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6, მე-7 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.9*).

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 და მე-9 გვერდზე მიუთითეთ თითოეული ამომრჩეველთა რეგისტრატორისთვის გადაცემული ბეჭდის ნომერი.

- საარჩევნო ყუთების დალუქვის დრო და საარჩევნო ყუთების ლუქების ინდივიდუალური ნომრები მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

- კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარესთან ერთად შეავსეთ საკონტროლო ფურცლის თვითკოპირებადი ფორმა (გარდა პირველი ამომრჩეველის შესახებ მონაცემებისა). ყურადღება მიაქციეთ, რომ საკონტროლო ფურცელს კომისიის ყველა დამსწრე წევრმა მოაწეროს ხელი (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.10*).

08:00 საათიდან

- საარჩევნო უბანზე მოსვლისას პირველი ამომრჩეველი გადის რეგისტრაციას და იღებს საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს. ამის შემდეგ პირველი ამომრჩეველის შესახებ მონაცემები შეიტანეთ საკონტროლო ფურცლებში, ხელი მოაწერინეთ მას და მიუთითეთ საარჩევნო ყუთებში საკონტროლო ფურცლების ჩაყრის ზუსტი დრო (საკონტროლო ფურცლის მონაცემები შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე). თუ ამომრჩეველის მიერ წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული რეგისტრაციის მისამართი, აღნიშნული მონაცემი საკონტროლო ფურცელში გადმოიტანეთ ამომრჩეველთა შესაბამისი სიიდან.

09:00 საათიდან

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე აღნიშნეთ, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრებს და მიუთითეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბნიდან წაღების დრო (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 62.6*).

12:00 საათი

- თითოეულ ამომრჩეველთა რეგისტრატორთან ერთად გადაითვალეთ ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობები და მათი ჯამი მიუთითეთ ჩანაწერთა წიგნის მე-6, მე-7 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში.

17:00 საათი

- თითოეულ ამომრჩეველთა რეგისტრატორთან ერთად გადაითვალეთ ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობები და მათი ჯამი მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-6, მე-7 გვერდზე და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში.

20:00 საათამდე

- გადასატანი საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობისას) საარჩევნო უბანზე დაბრუნების შემდეგ, დარჩენილ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს ჩამოაჭერთ კუთხე, დაანერეთ „გაფუჭებულია“ და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ შეინახეთ ცალკე, გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა და გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნების დრო შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 62.6*).

20:00 საათიდან ყუთის გახსნამდე

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე მიუთითეთ 20:00 საათისთვის რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობა.

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე აღნიშნეთ კომისიის წევრებს შორის მთვლელების ფუნქციების წილისყრით გადანაწილების შედეგები.

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეიტანეთ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესის მეთვალყურეობისათვის დამკვირვებელთაგან გამოვლენილი მეთვალყურეების მონაცემები.

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეიტანეთ წილისყრით გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაცემები, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მიუთითეთ ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების ვინაობა.

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის, ამომრჩეველთა სპეციალური სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით მთვლელების მიერ გამოვლენილი კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 67.3*).

- ცალ-ცალკე შეფუთეთ და დალუქეთ ამომრჩეველთა ერთიანი სიის, ამომრჩეველთა სპეციალური სიის, აგრეთვე გადასატანი საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სიის სამაგიდო ვერსიები. დალუქულ პაკეტებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 67.3*).

- არსებობის შემთხვევაში** აღრიცხეთ იმ შემთხვევების რაოდენობა, რომლებიც ეხება **ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში/ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შეუსაბამობას**, და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნისთვის დართული დოკუმენტების რაოდენობა. მონაცემები შეიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის 29-ე და მომდევნო გვერდებზე, რის შემდეგაც დალუქეთ აღნიშნული დოკუმენტები. დალუქულ პაკეტზე მიუთითეთ საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, დოკუმენტების სახე და მოაწერეთ ხელი (*საარჩევნო კოდექსი – მუხლი 67.5¹*).

- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭერთ კუთხე. გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები ცალ-ცალკე პაკეტებად შეკარით. დალუქულ პაკეტებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 67.4).

საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენა

- საარჩევნო ყუთის გახსნის შემდეგ მთვლელების მიერ დათვლილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობები მიუთითებენ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში (სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში) (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 69.6,8).

- კომისიის თავმჯდომარესთან ერთად შეამოწმეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მონაცემების სისწორე: საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა + ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა = ან < ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა.

- მთვლელების მიერ ხმების დათვლის პროცედურის დამთავრების შემდეგ კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით შეავსეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 71.1). კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამომრჩეველთა რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები. **გახსოვდეთ: კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების შესწორება აკრძალულია!** (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 70.3).

- ხელი მოაწერეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და თვალყური ადევნეთ, რომ მათ კომისიის ყველა წევრმა მოაწეროს ხელი. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით და რეგისტრაციაში გაატარეთ სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 71.4).

- კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ დახურეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი და სარეგისტრაციო ჟურნალი შესაბამისი ჩანაწერით „ჟურნალი დახურულია“ დაადასტურეთ თქვენი და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერებით, რის შემდეგაც ისინი კომისიის სპეციალური ბეჭდით დაამოწმეთ (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი – მუხლი 11.15; საარჩევნო კოდექსი – მუხლი 62.11, 71.12).

გაითვალისწინეთ!

- ▶ კომისიის წევრთა წილისყრით დადგენილი ფუნქციების სხვა წევრისთვის დროებით გადაცემის შემთხვევაში ინფორმაცია შეიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 61.2.8);
- ▶ თუ მარკირების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მისი ვინაობა მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე;
- ▶ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებით, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში შეიტანეთ ამომრჩეველის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში/ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შეუსაბამობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხელმოწერით დაადასტურეთ აღნიშნული ჩანაწერი. ჩანაწერთა წიგნს დაურთეთ, თქვენი ხელმოწერით დამოწმებული ამომრჩეველის მიერ წარდგენილი დოკუმენტის ფოტოასლი.
- ▶ სარეგისტრაციო ჟურნალში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-10 და მომდევნო გვერდებზე რეგისტრაციაში გაატარეთ ყველა შემოსული განცხადება/საჩივარი (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 62.9);
- ▶ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ფოტოასლის გაცემისას, აღნიშნული ფოტოასლი დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით და კომისიის თავმჯდომარესთან ერთად მოაწერეთ მას ხელი (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 71.8);
- ▶ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ფოტოასლების მიღება მიმდებარე პირებმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით უნდა დაადასტურონ.